# ურთიერთშეთანხმება № 98(ბ)/1

ქ. თბილისი „--7--" „დეკემბერი" 2016 წ.

**ერთის მხრივ** სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო (შემდგომში **შემსყიდველი**) სააგენტოს უფროსის მოადგილის ირაკლი გოდუაძის სახით, **მისამართი**: ქ.თბილისი, გ. გულუას ქ. № 6. ს/კ 204578581. **ტელ:** 2753910. **საბანკო რეკვიზიტები:** ცენტრალური ხაზინა, კოდი TRESGE22, ა/ა GE24NB0330100200165022. (კოდი 380402). **ხოლო მეორეს მხრივ** სსიპ ეროვნული სატყეო სანერგე მეურნეობა (შემდგომში **მიმწოდებელი**) მისი დირექტორის რევაზ ბეჟაშვილის სახით. **მისამართი:** გარდაბნის რაიონი, სოფელი სართიჭალა. ს/კ 226575024. **ტელ:** 595005633; 592339399. **საბანკო რეკვიზიტები:** სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22, ა/ა 707387499. მხარეთა შორის 2016 წლის 23 სექტემბერს გაფორმებული №98 (ბ) ხელშეკრულების მე-8 მუხლის, 8.4 პუნქტისა და სააგენტოს ტყის მოვლა-აღდგენის დეპარტამენტის უფროსის მერაბ მაჭავარიანის 2016 წლი 7 დეკემბრის №60902/08 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

## *შეთანხმების საგანი*

1. ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4.2 საქონლის მიწოდება და დასაწყობება უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის მისამართზე, ხოლო დასაწყობების შემდეგ, 2017 წლის საგაზაფხულო სასეზონო დარგვის პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს მთლიანი საქონლის მიწოდება შემსყიდველის მიერ მითითებულ ადგილზე ქ.თბილისიდან 50-60 კმ მანძილზე."

2 ხელშეკრულების მე-15 მუხლის 15.1 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„15.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით."

3. ეს შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერისა და ბეჭდით დამოწმების დღიდან.

4. ეს შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) ეგზემპლარად, ორივე მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა და წარმოადგენს 2016 წლის 23 სექტემბერს გაფორმებული №98 (ბ) ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. აღნიშნული ხელშეკრულების სხვა პუნქტები რჩება უცვლელი.

| „შემსყიდველი" | „მიმწოდებელი" |
|---|---|
| ------------------------------------ | ------------------------------------ |
| ირაკლი გოდუაძე | რევაზ ბეჟაშვილი |
| სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე | სსიპ ეროვნული სატყეო სანერგე მეურნეობის დირექტორი |